სოციალური სამუშაო

## 2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

სოციალური მეცნიერების ბაკალავრი - სოციალური სამუშაო;
BA in Social Sciences - Social Work

## 3. პროგრამის ხელმძღვანელი

თსუ, სრული პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

## 4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

**პროგრამის მიზანი:** საუნივერსიტეტო განათლების მისიის შესაბამისად, სოციალური სამუშაოს საბაკალავრო პროგრამის მისიაა მოამზადოს მაღალი პროფესიული დონის მქონე სოციალური მუშაკები, რომლებიც გამოიყენებენ უნივერსიტეტის საბაზისო და სოციალური სამუშაოს კურსებზე მიღებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს საქართველოს მოქალაქეების, მათი ოჯახების და ჯგუფების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

პროგრამის მისია ეფუძნება შემდეგი მიზნების განხორციელებას:

- სტუდენტთათვის სოციალური სამუშაოს თეორიული საფუძვლების გაცნობა;
- სოციალური სამუშაოს კომპეტენციის სტანდარტების განვითარება და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების მაღალპროფესიულ დონეზე მომზადება;
- პროფესიული და აკადემიური სტანდარტების პრაქტიკაში ინტეგრირება და სოციალურ მუშაკთა უწყვეტი განათლების უზრუნველყოფა;
- მაღალი კვალიფიკაციის სოციალური მუშაკების მომზადება, რომლებიც შეძლებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას და პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის პროფესიის პოპულარიზებას.

**პროგრამის შედეგები:** სოციალური მუშაობის ბაკალავრის პროგრამის დასრულების შემდეგ დიპლომირებულ სპეციალისტებს შეეძლებათ:

- სოციალური სამუშაოს საფუძვლების დაუფლება; მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება სოციალური მუშაკის ყოველდღიურ პრაქტიკაში.
- სოციალური სამუშაოს ღირებულებებისა და პრაქტიკულ საქმიანობაზე მათი გავლენის გააზრება; სოციალური სამუშაოს ეთიკის კოდექსის შესაამისი პრაქტიკის განხორციელება.
- სოციალურად დაუცველი ჯგუფების და სოციალური სამსახურების მომხმარებელთა გაძლიერება საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციისა და ჩაგვრის დასაძლევად.
- ადამიანებისა და ჯგუფების ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების, ადამიანთაშორისი ურთიერთობების დინამიკის იდენტიფიცირება და პრაქტიკაში გამოყენება.
- სოციალური სამუშაოსთვის რელევანტური საკანონმდებლო ბაზისა და პროგრამების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენება.

- სოციალური სამუშაოს მეთოდების ღრმა ცოდნა და პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება.
- საკუთარი პრაქტიკის და მისი ეფექტურობის შეფასება და სოციალურ სფეროში არსებული კვლევის შედეგების პრაქტიკაში ინტეგრირება.

**დასაქმების სფეროები:** სასწავლო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ შემდეგ სოციალური პრობლემებზე მუშაობის საჭირო თეორული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ბავშვების, ქალებისა და ოჯახების კეთილდღეობა;
- ხანდაზმულობა;
- ადამიანის უფლებების დარღვევა;
- არასრულწლოვანთა დამნაშავეობა;
- ტრეფიკინგი;
- ფსიქიკური და ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა;
- უსახლკარობა; ეკონომიკური არასტაბილურობა;
- უმუშევრობა; ნარკომანია, ტოქსიკომანია, ალკოჰოლიზმი და სხვ.

შესაბამისად, ბაკალავრების დასაქმების პერსპექტივები უკავშირდება ზემოაღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

## 5. სწავლის გაგრძელების საშუალება

სოციალური სამუშაოს ბაკალავრის ხარისხი შეესაბამება პრაქტიკოსი სოციალური მუშაკისთვის ადეკვატური განათლების დონეს. სოციალურ სამუშაოში სწავლის გაგრძელების მსურველებს შეეძლებათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობა.

# საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

| | საგნის/მოდულის დასახელება | საგნის/მოდულის სტატუსი | კრედიტების რაოდენობა | საგნის შესწავლის პირობები | კრედიტების განაწილება | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სემესტრები | |
| | | | | | საშემოდგომო | საგაზაფხულო |
| | საფაკულტეტო კურიკულუმი (სულ 50 კრედიტი) | | | | | |
| 1. | ინგლისური ენა | საფაკულტეტო სავალდებულო | სულ 10 | – | | |
| 2. | სტატისტიკა | საფაკულტეტო სავალდებულო | სულ 5 | – | | |
| 3. | სოციალური კვლევის მეთოდები | | სულ 5 | | | |
| | **შესავალი კურსები სოციალურ მეცნიერებებში**<br>*(შენიშვნა:*<br>• სტუდენტი ვალდებულია აირჩიოს 4 შესავალი კურსი. თუმცა, მას არ ეკრძალება უფრო მეტი შესავალ კურსების აღება;<br>• შესავალი კურსი ერთსემესტრიანია, მაგრამ მიეწოდება ორივე სემესტრში;<br>• შესავალი კურსებიდან ერთი ჩართულია ძირითადი სპეციალობის, ხოლო ერთი – დამატებითი სპეციალობის კურიკულუში | საფაკულტეტო სავალდებულო-არჩევითი | სულ 15 | | | |
| 5. | პოლიტიკური მეცნიერების შესავალი | | 5 | – | | |
| 6. | ჟურნალისტიკის შესავალი | | 5 | – | | |
| 7. | საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი | | 5 | – | | |
| 8. | საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი | | 5 | – | | |
| 9. | სოციოლოგიის შესავალი | | 5 | – | | |
| 10 | ფსიქოლოგიის შესავალი | | 5 | – | | |
| | **არჩევითი კურსები**<br>*შენიშვნა:* სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი კურსი სურვილისამებრ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით | არჩევითი კურსები | **20** | | | |
| | სპეციალობის კურიკულუმი (სულ 120 კრედიტი, აქედან პრაქტიკაზე გათვალისწინებულია 35, სალექციო კურსებზე 77, ხოლო საბაკალავრო ნაშრომის მომზადებაზე 10 კრედიტი) | | | | | |
| 11. | **სოციალური სამუშაოს შესავალი** | სპეციალობის სავალდებულო | **5** | – | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | I მოდული: სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკა: | სპეციალობის სავალდებულო | სულ 20 | | | |
| 12. | სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ცოდნა, ღირებულებები, უნარები | | 5 | #11 | | |
| 13. | ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა | | 5 | #11, #12 | | |
| 14. | სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ჯგუფებთან | | 5 | ##11,12 | | |
| 15. | სოციალური სამუშაოს პრაქტიკა თემებთან და ორგანიზაციებთან | | 5 | ##11,12 | | |
| | II მოდული: ადამიანის ქცევა და სოციალური გარემო: | სპეციალობის სავალდებულო | სულ 15 | | | |
| 16. | ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში (I) | | 5 | ##11,12 | | |
| 17. | ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში (II) | | 5 | ##11,12,16 | | |
| 18. | კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური სამუშაო | | 5 | ##11,12 | | |
| | III მოდული: სოციალური სამუშაოს კონცენტრაციები: | სპეციალობის სავალდებულო-არჩევითი | სულ 15 | | | |
| 19. | სოციალური მომსახურებები ბავშვების, მოზარდებისა და მათი ოჯახებისათვის | | 5 | ##11,12 | | |
| 20. | თანამედროვე სოციალური პრობლემები (I) *(სიღარიბე, უმუშევრობა, შიდსი, სგგდ, პროსტიტუცია და სხვ.)* | | 5 | ##11,12 | | |
| 21. | სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო გამოცდილება | | 5 | ##11,12 | | |
| 22. | სოციალური გერონტოლოგიის საფუძვლები | | 5 | ##11,12 | | |
| 23. | ფსიქიკური ჯანმრთელობა | | 5 | ##11,12 | | |
| 24. | თანამედროვე სოციალური პრობლემები – 2 (სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები, ქსენოფობია და სხვ.) | | 5 | ##11,12 | | |
| | IV მოდული: კვლევა სოციალურ სამუშაოში: | სპეციალობის სავალდებულო | სულ 15 | | | |
| 25. | სოციალური სამუშაოს კვლევის მეთოდები | | 10 | ##11,12 | | |
| 26. | კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა | | 5 | ##11,12 | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | V მოდული: სოციალური სამუშაოს მაკროპრაქტიკა: | სპეციალობის სავალდებულო | სულ 15 | | | |
| 27. | სამართალი და სოციალური სამუშაო | | 5 | ##11,12 | | |
| 28. | პროფესიათაშორისი პრაქტიკა | | 5 | ##11,12 | | |
| 29. | სოციალური პოლიტიკა | | 5 | ##11,12 | | |
| 30. | VI მოდული: პრაქტიკუმი სოციალურ სამუშაოში | სპეციალობის სავალდებულო | სულ 35 | ##11,12 | | |

## დამატებითი (Minor) პროგრამა სოციალურ სამუშაოში (60 კრედიტი)

| საშემოდგომო სემესტრი (სექტემბერი-დეკემბერი) | | | საგაზაფხულო სემესტრი (თებერვალი-მაისი) | |
|---|---|---|---|---|
| კურსები | | | კურსები | |
| სავალდებულო (სულ 40კრედიტი) | | | | |
| 1. | შესავალი სოციალურ სამუშაოში | | 1. | შესავალი სოციალურ სამუშაოში |
| 2. | სოციალური სამუშაოს ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ცოდნა, ღირებულებები, უნარები | | 2. | სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ჯგუფებთან |
| 3. | სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ინდივიდებთან და ოჯახებთან | | 3. | სოციალური სამუშაოს პრაქტიკა ორგანიზაციებთან და თემთან |
| 4. | სოციალური სამუშაოს კვლევის მეთოდები | | 4. | კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური სამუშაო |
| | | | 5. | პროფესიათაშორისი პრაქტიკა |
| სავალდებულო-არჩევითი (სულ 20 კრედიტი) | | | | |
| 5. | ბავშვები, მოზარდები და ოჯახები | | 6. | სოციალური გერონტოლოგიის საფუძვლები |
| 6. | თანამედროვე სოციალური პრობლემები I *(სიღარიბე, უსახლკარობა, იგჰ)* | | 7. | ფსიქიკური ჯანმრთელობა |
| 7. | სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო გამოცდილება | | 8. | თანამედროვე სოციალური პრობლემები II *(სექსუალური უმცირესობები, დამნაშავეობა, შიდსი, ნივთიერებაზე დამოკიდებული პირები)* |